## კომპლექსური დავალება

წერილობითი ანგარიში თემაზე: „ქართველი და ბრიტანელი მოზარდების თავისუფალი დროის აქტივობები“

**დავლების პირობა:**
მოიძიეთ ინფორმაცია, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს ქართველი და ბრიტანელი მოზარდები და დაწერეთ ანგარიში, სადაც ერთმანეთს შეადარებთ, რა საქმიანობებით არიან დაკავებული თქვენი, ქართველი და ბრიტანელი თანატოლები.

***ამისათვის გამოიყენეთ:***

- **თემატური ლექსიკა:** do research, do without, focus on, pick up, pick put, nerd, rehears for, hate doing, fond of doing, try out, take class..
- **გრამატიკა:** Present simple, continuous; possessive adjectives and possessive pronouns; numbers; cardinal and ordinal numbers, fractions and percentages; big numbers

***ანგარიში:***

- გამოკვეთეთ თემა, მიზანი და ადრესატი;
- აღნიშნეთ, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს ქართველი და ბრიტანელი თინეიჯერები;
- მიახლოებით რა რაოდენობაა დაკავებული სკოლის მიღმა აქტივობებით? რომელი აქტივობებით?
- რამდენი კითხულობს წიგნებს; რამდენი დადის კინოში, თეატრში; რამდენ დროს ატარებენ ტელევიზორთან, კომპიუტერთან, სოციალურ ქსელში;
- აღნიშნეთ, რა მსგავსება და განსხვავებაა ქართველი და ბრიტანელი მოზარდების საქმიანობებს შორის;
- მსჯელობისას წარმოადგინეთ რიცხვებში, წილადებში და პროცენტებში გამოხატული სტატისტიკა;
- დაიცავით ტექსტის სტრუქტურა და პუნქტუაციის წესები.

***დავალების წარდგენის შემდეგ იმსჯელეთ:***

- *რამდენად ეფექტიანად დაწერეთ ანგარიში ქართველი და ბრიტანელი მოზარდების თავისუფალი დროის აქტივობების შესახებ? რამდენად ეფექტიანად გამოიყენეთ საჭირო ენობრივი საშუალებები და წერითი კომუნიკაციის გრაფიკულ-მაორგანიზებელი საშუალებები? (მკვ.1);*

- *როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით აითვისეთ საჭირო ენობრივი მასალა? რამდენად ეფექტიანად შექმენით ანგარიში? (მკვ. 2)*

- *რომელმა სტრატეგიებმა შეგიწყოთ წინსვლაში ხელი? რომელი სტრატეგიების გამოყენება დაგეხმარება უკეთესი შედეგის მიღწევაში? (მკვ. 3)*

- *რა მსგავსება-განსხვავებები აღმოაჩინეთ ქართველი და ბრიტანელი თანატოლების თავისუფალი დროის აქტივობებს შორის? (კულტ. მკვ. 1)*

- *რამდენად წარმოაჩინე მათ შორის არსებული მსგავსებები და განსხვავებები? (მკვ. კულტ.2)*